ოქმი:ო63. 6325336001
თარიღი:02/12/2025

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

26 ნოემბერი.2025 წელი.

მიმდინარე წლის 26 ნოემბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯონი თევზაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი, მაია ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, ლაშა მუქერია, როლანდ ეცადეიშვილი, მარიამ ცომაია, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა: მერის წარმომადგენელი დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ალექსანდრე ლეჟავა.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სპორტის მინისტრის N00061683 წერილობითი მომართვის განხილვა.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

2. საქართველოს გენერალთა კლუბის N39 წერილობითი მომართვის განხილვა.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (11 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს სპორტის მინისტრის N00061683 წერილობითი მომართვა, საიდანაც ირკვევა, რომ სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის N01/129 ბრძანების თანახმად, სპორტის სფეროში დაწესებულია შემდეგი საპატიო წოდებები:

ა) საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;

ბ) საქართველოს საპატიო მსაჯი;

გ) საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე;

დ) საქართველოს სპორტის საერთაშორისო/საერთაშორისოდ აღიარებული/ მსოფლიო ოსტატი;

ე) საქართველოს სპორტის რაინდი.

სპორტის სფეროში საპატიო წოდება პირს ენიჭება განსაკუთრებული მიღწევებისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მინისტრის რეკომენდაციაა, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სპორტის სფეროში საპატიო წოდების მფლობელი პირებისთვის, ჩვენი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის მიხედვით შემუშავდეს გარკვეული სახის წახალისების ფორმა ან/და გავრცელდეს გარკვეული სახის სოციალური შეღავათები, რაც გააუმჯობესებს აღნიშნულ პირთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სტიმულს მისცემს მათ საქმიანობას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს;

ირაკლი მელაშვილი - მიემართოს მერიის შესაბამის სამსახურს, რათა მათ მიერ დადგენილ იქნას ის პირები, რომელთაც აქვთ სპორტში დამსახურების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაძლებლობის ფარგლებში გაეწიოთ დახმარება.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11 ხმით) ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს გენერალთა კლუბის N39 წერილობითი მომართვა.

ჯონი თევზაძე **-** საქართველოს გენერალთა კლუბი“ მოგვმართავს თხოვნით, რათა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, რომელიმე უსახელო ქუჩას ან სკვერს მიენიჭოს, აწ გარდაცვლილი გენერალ-ლეიტენანტ ომარ დავითის ძე ლეკვეიშვილის სახელი, რომელიც დაიბადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიში (26.07.1942წ). გენერალ- ლეიტენანტი ომარ ლეკვეიშვილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დამოუკიდებელობის განმტკიცების საქმეში, ის სხვადასხვა დროს იკავებდა დამოუკიდებელი საქართველოს მაღალი იერარქიის თანამდებობებს; 1996-1998 წწ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე; 1998-2000 წწ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე; 2000-2002წწ. საქართველოს ეროვნული აკადემიის რექტორი. - დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის“ მე-3

ხარისხის ორდენით და სხვადასხვა უწყებრივი მედლებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ტარიელ დვალიშვილი - გამომდინარე იქიდან, რომ ეს პიროვნება დაიბადა სოფელ დიდი ჯიხაიშში, უპრიანი იქნება თუ ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში რომელიმე ქუჩას მიენიჭება მისი სახელი.

ლელა ჩორგოლაშვილი - მიზანშეწონილი იქნება, მოხდეს კონსულტაციის გავლა დიდი ჯიხაიშის მოსახლეობასთან და მათი თანხმობის და სურვილის შემთხვევაში მოხდეს სახელის მინიჭება.

ალექსანდრე ლეჟავა - მოგახსენებთ, რომ ქუჩა, სადაც ომარ ლეკვეიშვილი დაიბადა მოსახლეობის სურვილია, მიენიჭოს გიორგი ნიკოლაძის სახელი. შესაბამისად, გავივლი კონსულტაციას მიმდებარე ქუჩის მცხოვრებლებთან და თანხმობის შემთხვევაში მოგმართავთ წერილობით.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი